<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება</p>
<p>უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.</p>
<p style="text-align: center;">არ შეფასდა</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <p>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან (გამოქვეყნებული 05.08.2025) ირკვევა, რომ ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, ეთერ ბოცვაძის ქ. N6 და N6ა-ზე, საკადასტრო კოდი 01.13.01.005.030, მიწის ფართობი 3238 კვ.მ., შენობა N1 კი 7954.2 კვ.მ. საერთო ფართობით.

ქონების მესაკუთრეა შპს „ქართულ-ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი“ (ID: 405346656), რომლის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 28.05.2025-ს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (03.09.2019). მოიჯარედ კი რეგისტრირებულია შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“ (ID: 206169304) — იჯარის უფლება საჯარო რეესტრში შეტანილია 05.08.2025-ს, ვადა გრძელდება 31.07.2031 წლამდე, ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმებულია (N250972380).

ამდენად, შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“ ფლობს შენობას იჯარის სახით, რომელიც წერილობითი ფორმით დადებული გარიგებით და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით წარმოიშვა — მოქმედი კანონმდებლობის ზუსტი მოთხოვნის შესაბამისად.

გასაუბრებიდან და დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ შენობა გამოიყენება სრულად სასწავლო-კვლევითი პროცესისთვის. ფუნქციონირებს სასწავლო აუდიტორიები, მედიცინის სკოლის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციული ოფისები, სტუდენტური სივრცეები და კვების ობიექტები — ყველაფერი ამ შენობის ფარგლებში, ბოცვაძის 6ა-ზე.

შენობის (ქ. თბილისი, ბოცვაძის 6ა, საერთო ფართობი 7954.2 კვ.მ.) დათვალიერებისა და აზომვითი ნახაზის განხილვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ შენობა მოიცავს სასწავლო და დამხმარე ფართების ნათელ ფუნქციურ დაყოფას. სასწავლო ფართში შედის სასწავლო აუდიტორიები და ოთახები, რომლებიც სტუდენტებისა და ლექტორების საგანმანათლებლო აქტივობებისთვის არის განკუთვნილი; მედიცინის სკოლის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები; ბიბლიოთეკა და

სასწავლო რესურსების ცენტრი; საკონფერენციო და ღონისძიებების დარბაზები; ასევე სტუდენტური სივრცეები, სადაც ხდება ჯგუფური სამუშაოები და არაფორმალური კონსულტაციები. დამხმარე ფართში გაერთიანებულია რექტორატი და ადმინისტრაციული ოფისები, ბუფეტი და კაფეტერია, ტექნიკური ოთახები და საინჟინრო ბლოკები, და დაცვის პოსტი, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფილია სასწავლო-კვლევითი ინფრასტრუქტურით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროექციული ტექნიკით, მერხებით, სკამებითა და IT-ინფრასტრუქტურით. ლაბორატორიები, რომლებიც ფუნქციონირებს ბიოუსაფრთხოების სხვადასხვა დონეზე, უზრუნველყოფილია სპეციალიზებული სავნტილაციო სისტემებით, ელექტრო და გაზის უსაფრთხოების კონტროლის მოწყობილობებით, საავარიო საშხაპეებით, ცეცხლმაქრებითა და ლაბორატორიული ინვენტარით. დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო ლაბორატორიული სახარჯი მასალებისა და აღჭურვილობის (კოლბები, სინჯარები, საზომი ცილინდრები, ცენტრიფუგების სინჯარები და სხვა) შემენის კომერციული წინადადება (GAU, 2025 წ.), რაც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად განაახლებს შესაბამის მარაგებსა და სასწავლო მასალებს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად. ბიბლიოთეკა და სასწავლო რესურსების ცენტრი სტუდენტებს უზრუნველყოფს ფუნქციონალური IT-სისტემებითა და ელექტრონული რესურსებით.

მომრავ ნივთებზე მართლზომიერი მფლობელობის კონტექსტში, კანონმდებლობის მოთხოვნა — მხარეებს შორის გარიგების არსებობა და ნივთის ფაქტობრივი გადასვლა შემენის მფლობელობაში — შესრულებულია. ლაბორატორიული აღჭურვილობისა და სასწავლო ინვენტარის შემენა ხდება კომერციული წინადადებებისა და შესყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე, ხოლო ნივთები ფაქტობრივად გადასულია დაწესებულების მფლობელობასა და სარგებლობაში, რაც დასტურდება მათი გამოყენებით სასწავლო პროცესში. ამდენად, მომრავ ნივთებზე მართლზომიერი მფლობელობა დადასტურებულია როგორც შესაბამისი გარიგებებით, ასევე ნივთების ფაქტობრივი ფლობისა და სარგებლობის ფაქტით.

შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“ ფლობს სრულყოფილ სახანძრო უსაფრთხოების სისტემას. შემუშავებული და დამტკიცებული სავაკუაციო გეგმები განთავსებულია სავაკუაციო გასასვლელებთან, სათავსებისა და დერეფნების კედლებზე. ძირითადი სავაკუაციო გზები მოხაზულია უწყვეტი ხაზით, სათადარიგო გასასვლელი კი წყვეტილი ხაზით, ხოლო გასასვლელისკენ სვლა მიმართულია თვითმანათლებელი ნიშნებით. ყველა ლაბორატორიაში ან მათ გარეთ განლაგებულია ვადიანი ცეცხლმაქრები, რომელთა ვარგისიანობა ყოველწლიურად მოწმდება. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი დასაქმებულებს უტარდებათ სამსახურში მიღებამდე და შემდეგ ყოველ 6 თვეში. გარდა ამისა, შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის დეტალური გეგმა, სადაც გაწერილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის (112) გამოძახებიდან ევაკუაციის დასრულებამდე სრული პროცედურული ჯაჭვი, პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებითა და შეკრების ადგილების კოორდინაციით.

შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია და ასევე უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთებს ყველა სამუშაო სივრცეში, სათანადო ნიშანდებით და თავისუფლად ხელმისაწვდომ ადგილებში. ყუთები აღჭურვილია სტანდარტული ინვენტარით: ჭრილობის სახვევებით, სტერილური ბინტებით, ბეტადინით, წყალბადის ზეჟანგით, ლახტებით, ერთჯერადი ხელთათმანებითა და სხვა საჭირო საშუალებებით. ლაბორატორიებში დამატებით ხელმისაწვდომია საავარიო საშხაპეები თვალის დასაბანად. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ასევე

ითვალისწინებს პირველადი სამედიცინო ჩარევის სწრაფ სქემას, მათ შორის 112-ზე შეტყობინებასა და სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას დაზარალებულებისთვის.

უნივერსიტეტს გამოყოფილი ჰყავს დაცვის სამსახური. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში დაცვის სამსახური განსაზღვრულია, როგორც უშუალოდ რეაგირებადი ძალა: ბომბის ან საეჭვო ამანათის აღმოჩენის შემთხვევაში სწორედ მათ ევალებათ ტერიტორიის შემოსაზღვრა და ვიდეოკამერების გადამოწმება; სტუდენტის ან სტუმრის აგრესიული ქცევის შემთხვევაში კი — ადგილზე გასვლა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. ობიექტზე ფუნქციონირებს CCTV-ისა და უსაფრთხოების მართვის ოთახი/დაცვის პოსტი, საიდანაც ხდება ვიდეომონიტორინგი, დაშვების კონტროლი და საგანგებო რეაგირების კოორდინაცია. გარდა ამისა, სამუშაო სივრცეში შესვლამდე ვიზიტორები ვალდებული არიან გაიარონ რეგისტრაცია დაცვის სამსახურთან ვიზიტის მიზნისა და მარშრუტის მითითებით.

დათვალიერებისას დადასტურდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათებით და ბუნებრივი განიავებით. აღნიშნული პოზიტიური ასპექტების მიუხედავად, გამოვლინდა ერთი ხარვეზი: კაბინეტი არ არის მუდმივად მომარაგებული ცხელი და ცივი წყლით. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას ჰყავს სამედიცინო პერსონალი, რაც შეესაბამება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც დამსაქმებელი ვალდებულია საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები.

მედიცინის პროგრამისათვის

მედიცინის პროგრამის განხორციელებისთვის ახალ კამპუსში მოწყობილი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ, მიზნობრივად დაგეგმილ და ფუნქციურად ორგანიზებულ გარემოს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო და კვლევითი სივრცეები, მათ შორის ლაბორატორიები, რომლებიც დაიწყებს ფუნქციონირებას განსაზღვრული უსაფრთხოების სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ლაბორატორიული გარემო უზრუნველყოფილია ბიოუსაფრთხოების შესაბამისი დონეებით, პირადი დაცვის საშუალებებით, სტანდარტული ოპერირების პროცედურებით (SOP), ნარჩენების მართვის სისტემითა და უსაფრთხოების მექანიზმებით. ლაბორატორიების აღჭურვილობა უნივერსიტეს შეკვეთილი აქვს და მომავალი სემესტრისთვის იგეგმება მათი ფუნქციონირების დაწყება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სიმულაციური ცენტრი მოწყობილია სრული აღჭურვილობით და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის საჭირო გარემოს. ცენტრი მოიცავს Skills/Simulation ინფრასტრუქტურას და OSCE ფორმატის შეფასებისთვის შესაბამის სივრცეებს (ამ ეტაპზე 10 სადგურია), რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა კლინიკური კომპეტენციების ფორმირებას .

განსაკუთრებით გამოიკვეთა ქირურგიის სიმულაციური ცენტრი, რომელიც თავისი აღჭურვილობით, ორგანიზებითა და სასწავლო პროცესთან ინტეგრაციით წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს დაახლოებით 1500 სტუდენტი. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დაკვირვებით, ახალი კამპუსის ინფრასტრუქტურა გათვლილია მნიშვნელოვნად მეტ სტუდენტზე, რაც ნათლად გამოიხატება სივრცეების მოცულობითა და რესურსების განაწილებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ახალ კამპუსში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა ქმნის სათანადო გარემოს მედიცინის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაქტობრივი მდგომარეობა
- ფინანსური დოკუმენტაცია
- მედიცინის სკოლის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით სარგებლობის წესები
- მედიცინის სკოლის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების უსაფრთხოების სახელმძღვანელო
- უნივერსიტეტის სტრატეგიული დანართი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან — საკადასტრო კოდი N 01.13.01.005.030, მომზადებული 05.08.2025
- იჯარის ხელშეკრულება — შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი“, რეგ. N250972380
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- სახანძრო უსაფრთხოება (ინსტრუქტაჟის დოკუმენტი)
- სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში
- შრომის უსაფრთხოების დასკვნა
- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სისტემის მართვის გეგმა
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
- პირველადი სამედიცინო დახმარება (ინსტრუქტაჟის დოკუმენტი)
- ელექტრო უსაფრთხოება (ინსტრუქტაჟის დოკუმენტი)
- სწავლება-ინსტრუქტაჟების თემატიკები
- ლაბორატორიით სარგებლობის წესები (მედიცინის სკოლის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები)
- ლაბორატორიების უსაფრთხოების სახელმძღვანელო (ლაბუსფრთხოება)
- ლაბ სახარჯი GAU 1 — კომერციული წინადადება, 15.12.2025
- ტექნიკური პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
- აუდიტის დასკვნა GAU 2024 (FMG/HLB)
- დიასახლისების შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი
- ჰიგიენა და დასუფთავება
- გადასატანი კიბით უსაფრთხოდ მუშაობის წესები
- ერგონომიკა

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

- სასურველია ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილი იყოს მუდმივად მომარაგებული ცხელი და ცივი წყლით.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ქირურგიის სიმულაციური ცენტრი, რომელიც თავისი აღჭურვილობით, ორგანიზებითა და სასწავლო პროცესთან ინტეგრაციით წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს.
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>7.2. საბიბლიოთეკო რესურსები</p>
<p>ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.</p> <p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.</p> <p>ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკის სივრცე, მისი მოწყობა და ხელმისაწვდომობა, რაც შეფასდა დადებითად. ბიბლიოთეკა ფუნქციურად ორგანიზებულია, სივრცე ადაპტირებულია მომხმარებელთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას.</p> <p>აღსანიშნავია, რომ მედიცინის პროგრამის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა გააფართოვა შესაბამისი ფართი, რაც ასევე აისახა საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობასა და სივრცით ორგანიზაციაზე. წარმოდგენილი ინფორმაციით და ადგილზე დაკვირვებით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკის სივრცე სრულად არის მოწყობილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, მათ შორის მედიცინის მიმართულებისთვის საჭირო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით. ასევე ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო მომსახურება, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს ეფექტურ სასწავლო და კვლევით პროცესს.</p> <p>დამატებით, აღინიშნება, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებასა და მომსახურების განვითარებაზე.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქვესტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ფაქტობრივი მდგომარეობა

<ul style="list-style-type: none"> იჯარის ხელშეკრულება
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
<p>7.3 საინფორმაციო რესურსი</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>უნივერსიტეტმა ფართის დამატების მიზნით აღებულ კამპუსში განავითარა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მხარდაჭერას.</p> <p>ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ნანახი იქნა აწყობილი და გამართული საინფორმაციო სისტემები, მათ შორის სასერვერო ინფრასტრუქტურა, ქსელური მოწყობილობები და მათი ფუნქციონირება, რაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას რეალურ მდგომარეობასთან.</p> <p>წარმოდგენილი მასალების მიხედვით, უნივერსიტეტში დანერგილია თანამედროვე ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ცენტრალიზებულ სასერვერო სისტემას, სარეზერვო ელექტრომომარაგების მექანიზმებს, ოპტიკურ-ბოჭკოვან კავშირსა და მაღალი გამტარუნარიანობის ქსელს. უზრუნველყოფილია ქსელის სტაბილურობა და უსაფრთხოება (მათ შორის VLAN არქიტექტურა, ბრანდმაუერები და წვდომის პოლიტიკები), ასევე დანერგილია Active Directory-ზე</p>

დაფუნდებული მართვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა წვდომის ეფექტიან მართვას და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

ელექტრონული სერვისები და მართვის სისტემები დანერგულია და ფუნქციონირებს, ხოლო მათი ადმინისტრირება ხორციელდება სისტემურად. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რაც სისტემის მდგრადობასა და უწყვეტ განვითარებას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტის ვებგვერდი მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დაინტერესებული მხარეების ეფექტიან ინფორმირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტანდარტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაქტობრივი მდგომარეობა
- ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

1. სტრატეგიული გეგმა (2025–2028)

GAU-ის სტრატეგიული დანართი 2025–2028 შემუშავებულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021–2027) გაგრძელებასა და ინფრასტრუქტურული მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. დანართის მომზადების უშუალო საფუძველი გახდა ახალი სასწავლო შენობის ექსპლუატაციაში შეყვანა და პროგრამული რელოკაცია, რაც გაფორმებულია სტრატეგიულად გაზრებულ გადაწყვეტილებად და არა ლოკალური ტექნიკური ცვლილებად.

სტრატეგიული ჩარჩო ეფუძნება ინფრასტრუქტურული ცვლილებების სტრატეგიული გეგმის ვადებთან (2021–2027) და ინფრასტრუქტურული განვითარების ციკლთან (2025–2028) ჰარმონიზაციას; ახალი ფართის დამატებას, როგორც სტრატეგიულ გადაწყვეტილებას; და ინფრასტრუქტურული ცვლილებების ეროვნულ და საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან შეთავსებადობის დემონსტრირებას. უნივერსიტეტი ამ დანართით ასაბუთებს, რომ ახალი სასწავლო შენობის ექსპლუატაციაში შეყვანა სტრატეგიულ კონტექსტში გაზრებული გადაწყვეტილებაა, რომელიც ემსახურება სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხიანი ორგანიზებასა და ინსტიტუციური მდგრადობის გაძლიერებას.

2. ფინანსური ანალიზი (3-წლიანი პროგნოზი 2025/2026–2027/2028)

შემოსავლების სტრუქტურა

GAU-ის ფინანსური მოდელი ეფუძნება სტაბილურ და პროგნოზირებად შემოსავლის წყაროს. 2025/2026 სასწავლო წელს საერთო შემოსავლის დაახლოებით 96.8% მოდის სწავლების საფასურიდან, ხოლო 3.2% — სხვა, არასასწავლო წყაროებიდან. ეს პროპორცია პრაქტიკულად უცვლელი რჩება მომდევნო ორ წელსაც. შემოსავლების ზრდა განპირობებულია ზომიერი საფასო პოლიტიკით: MD პროგრამის შემთხვევაში წლიური ზრდა გათვლილია დაახლოებით 10%-ის ფარგლებში, დანარჩენი პროგრამების შემთხვევაში კი — 5%-ის ფარგლებში. ეს არ წარმოადგენს შემოსავლების აგრესიულ ზრდის სტრატეგიას, არამედ ასახავს ფინანსური სიჯანსაღისა და ოპერაციული მდგრადობის უზრუნველყოფის პრინციპულ პოზიციას.

ხარჯების სტრუქტურა

პირდაპირი დანახარჯები (COGS), რომლებიც სასწავლო პროცესთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს მოიცავს, შეადგენს 2025/2026 წელს 36.5%-ს, 2026/2027 წელს 37.7%-ს, ხოლო 2027/2028 წელს 38.7%-ს. COGS-ის ეს სტაბილური, ზომიერად მზარდი წილი ადასტურებს, რომ შემოსავლების ზრდა არ მიიღწევა სასწავლო პროცესის ხარჯვის შემცირებით, პირიქით — უნივერსიტეტი გამოხატავს მზაობას სასწავლო პროცესში ინვესტიციების გაზრდისადმი. ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე გათვლილი ხარჯები სამ წელიწადში შეადგენს შესაბამისად 2.0%, 2.2% და 2.3%-ს საერთო შემოსავლებიდან, რაც ასახავს სტაბილურ, დაგეგმილ და განმეორებად ინვესტიციურ პოლიტიკას.

კვლევა და განვითარება

R&D-ის წილი 2025/2026 წელს საოპერაციო შემოსავლებთან მიმართებით შეადგენს დაახლოებით 4.8%-ს, ხოლო პროგნოზის პერიოდის ბოლოსთვის 15%-იანი წლიური ზრდის ტემპით მიაღწევს 5.49%-ს. ეს მაჩვენებელი თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკაში მცირე ზომის უნივერსიტეტებისათვის გავრცელებულ 3–8%-იან დიაპაზონთან და ასახავს კვლევითი კომპონენტის ეტაპობრივ, ოპერაციულ შესაძლებლობებთან შეთანხმებულ განვითარებას.

ფინანსური კოეფიციენტები და ლიკვიდობა

მთლიანი მოგების მარჟა (Gross Margin) პროგნოზის პერიოდში სტაბილურად შეადგენს დაახლოებით 60–63%-ს, რაც შეესაბამება საერთაშორისო საუნივერსიტეტო პრაქტიკაში გავრცელებულ 60–65%-იან სტანდარტს. წმინდა მოგების მარჟა (Net Profit Margin) მერყეობს 4%-დან 8%-მდე ზომიერი ზრდის ტენდენციით, რაც ინტერპრეტირებულია არა მოგების მაქსიმიზაციის, არამედ ფინანსური სიჯანსაღისა და ოპერაციული მდგრადობის ინდიკატორად. ლიკვიდობის კუთხით, 2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული იყო დაახლოებით 12.6 მილიონი ლარი, რომელიც გამოყენებულია, როგორც ოპერაციული სტაბილურობის უზრუნველმყოფი ფინანსური რეზერვი.

აუდიტის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ფინანსური მართვის ჯგუფმა (FMG/HLB) ჩაატარა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშების დამოუკიდებელი აუდიტი. აუდიტი შესრულებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად. აუდიტორული დასკვნა ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია გასაზღვრული პროცედურების სათანადო დაცვით, კომპანიის საქმიანობის მოცულობის, სირთულისა და სტრუქტურის გათვალისწინებით.

GAU-ის სტრატეგიული გეგმა და ფინანსური ანალიზი ერთობლივად ადასტურებს, რომ დაწესებულება ოპერირებს გააზრებული, გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის საფუძველზე. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სტაბილური საფასო პოლიტიკით, კონსერვატიული სტუდენტთა პროგნოზით, სასწავლო პროცესზე ორიენტირებული ხარჯების სტრუქტურით, მზარდი R&D ინვესტიციებით და მყარი ლიკვიდური რეზერვებით. ინფრასტრუქტურული განვითარება კი სტრატეგიულ ჩარჩოში მოქცეულია, როგორც ხარისხის გაუმჯობესების, და არა რაოდენობრივი ექსპანსიის ინსტრუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- GAU სტრატეგიული დანართი 2025–2028
- ფინანსური გეგმის ანგარიში 2026
- აუდიტის დასკვნა GAU 2024

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან